ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1020491

ნომერი: AR1180106

თარიღი : 26.11.2013

გაცემის თარიღი : 29.11.2013

გაცნობის თარიღი : 29.11.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეველის შეს. N2 ; ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ბაშარული პ/ნ 01003004363
- მეველეს #2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: წარმოდგენილი ობიექტი არ განეკუთვნება I კლასის მახასიათებლებს და განეკუთვნება ისეთ კლასს, რომელსაც ესაჭიროება მშენებლობის ნებართვის გაცემა. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. გამომდინარე აქედან პირველ რიგში საკითხი უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით, ამისათვის კი უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" - "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა" და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად, ასევე გაითვალისწინეთ რომ ვინაიდან უშუალოდ საპროექტო ნაკვეთის მიმდებარედ იგეგმება გაზ–გასამართი სადგურის მშენებლობა, საპროექტო ნაკვეთებზე მსუბუქი შენობა–ნაგებობის პროექტირებისას გასათვალისწინებელი გექნებათ შესაბამისი ნორმები.

ყოველივე ზემოაღნიშნული უკვე გეცნობათ სამსახურის მიერ №1000009 და №1012833 გადაწყვეტილებებით.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.